ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 10 № 144
წლიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 10 № 144
ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნ ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.
გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.
კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

გულდათუთქული სოფიო დიმიტრის ასული გლუშაკოვისა აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 4 აგვისტოს დღით კვირას საღამოს 8 საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი მეუღლე

## პროვიზორი დავით ვასილისძე გლუშაკოვი

რომელსაც გაასვენებენ ხონს 8 აგვისტოს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა დანიშნულია 10 აგვისტოს (ახალი სტილით) დღით შაბათს ნაშუადღევის 4 საათზე ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ქ. ხონში აფთიაქი. 4—3

4 აგვისტოს დღით კვირას საღამოს რვა საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**პროვიზორი**

## დავით ვასილის ძე გლუშაკოვი.

რასაც მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და პატივცემულ საზოგადოებას პროვიზორები სპირიდონ გიორგის ძე ნიჟარაძე და იასონ კონსტანტინეს ძე გრიგოლაშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. ქ. ხონში აფთიაქი. 3—3

ღრმად დამწუხრებულნი ძმები მიხეილი და ვლადიმერი, რძლები ნინო და ტატიანა და დისწული ლიდა ზუბენკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას

**პროვიზორის**

## დავით ვასილის ძე გლუშაკოვისას.

პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს ექვს საათზე. ქ. ხონში აფთიაქი. 3—3

ღრმად დამწუხრებული სიმამრი დიმიტრი ბარქაია, სიდედრი ელენე ბარქაიასი, ქვისლები ბაგრატ იოსელიანი და მიხეილ დევიძე, ცოლის დები ლიზა იოსელიანისა, ალექსანდრა დეიძისა და ბაბულია ბარქაია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას პროვიზორის

## დავით ვასილის ძე გლუშაკოვის

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე ქ. ხონში აფთიაქი. 3—3

გულ დათუთქულნი მშობლები: ელისაბედ ნიკოლოზის ასული და ექიმი სიმონ ივანეს ძე ხეჩინოვი, ექიმი ნიკოლოზ სიმონის ძე და ოლღა ეგნატეს ასული ხეჩინოვები, მარიამ სიმონის ასული და ტიტე თადეოზის ძე მარგველაშვილები, ოლღა სიმონის ასული და ბორის ალის ძე გარდაფხაძეები და ნინა ნიკოლოზის ასული და მელიტონ გიორგის ძე აბაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გამოსვენება და დაკრძალვა

## ექიმი სერგო სიმონის ძის ხეჩინოვისა

მოხდება შაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს ხუთ (5) საათზე, ძველი დროით. საკუთარი სახლიდან საფიჩხიის სასაფლაოზე, კერძო ბარათები არ დარიგდება. 1—1

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ანტონ პეტრეს ძე ქურციკიძე.

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის ძმისწულები: პოლკოვნიკი ლეონ ალექსის ძე, დესპინა, მარიამ, ეკატერინა და ელენა ალექსის ასულნი; გიორგი კაპიტანი სერგია ნიკოლოზის ძენი, დარია ნიკოლოზის ასული ქურციკიძეები და სიძეები დარისპან დავითის ძე ჭიჭინაძე, გედევან დიმიტრის ძე წერეთელი, სამსონ გიორგის ძე და მეუღლე მისი ესმა მიხაილის ასული წერეთლები.
პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე (ძველი დროით). გამოსვენება მოხდება 11 აგვისტოს კვირეს ნაშუადღევის 4 საათზე (ძველი დროით) საკუთარ ბინიდან (ოლდენბურგის ქუჩა № 10) საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე ბარათები არ დარიგდება. 2—1

ქვრივი ნატალია გრიგოლის ასული წიქორიძისა, ბიქტორ სიმონის ძე წიქორიძე და ირინა მჟავანაძისა; ალექსანდრე სვანიძისა; პელაგია ახვლედიანისა და ნინა ჩაჩუასა; გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარის მეუღლისა ხოლო მეორენი ძვირფასისა ბიძისა

## თადეოზ ოქროპირის ძე წიქორიძისას,

დაკრძალვა მოხდება მარიამობისთვის 11-ს, (29) დღით კვირას, ნაშუადღევის ოთხ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ბალის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

2—1

მარიამ გრიგოლის ასული ბახტაძისა, ანა გრიგოლის ასული კუჭაიძისა, პეტრე, მიხეილ და იაკობ გრიგოლისძე ბახტაძე და ბიკტორ ლევანის ძე კუჭაიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა სიძის, ხოლო უკანასკნელი ორის ქვისლის.

## თადეოზ ოქროპირის ძე წიქორიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას აგვისტოს 11, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ბალის ქუჩაზე საკუთ. სახლი. (ბ—ა)

ექიმები: გიორგი ნიჟარაძე და სტეფანე მურმანიშვილი მწუხარენი ძვირფასი ამხანაგის სამხედრო ექიმის

## სერიოჟა ხეჩინოვის

ტრაღიკულად უდროოდ გარდაცვალებით ქ, ხარკოვში 26 აპრილს, აუწყებენ ნაცნობთ და ამხანაგ-მეგობართ, რომ გვამი მიცვალებულისა ჩამოსვენებულია ქუთაისში, რომლის დაკრძალვაც მოხდება 10 აგვისტოს, გამოსვენება საკუთარი სახლიდან აფთიაქის ქუჩა 5 საათზე. 1—1

# რუსეთის ბედი.

საერთაშორისო ჩარხის ტრიალმა რუსეთს რამოდენიმე აბრუნდი აქნევია. უკულტურომ, ნახევრად აზიურმა სახელმწიფომ ვერ გამონახა სამოქმედო ხაზი ვერც შინაურ და ვერც საგარეო პოლიტიკაში. ამიტომ არც გასაკვირია, რომ რუსეთი ჯერ ერთ კოალიციაში მოჰყვა, შემდეგ მოსწყდა ამ კოალიციას და „ნეიტრალური“ პოზიცია დაიკავა და ბოლო ხანს კი, როგორც სჩანს, პირველის სრულიად წინააღმდეგ კოალიციაში მოემწყვდა. ინგლის საფრანგეთის მოკავშირე ზავით შეეკრა გერმანეთს, ხოლო უკანასკნელის გამჭრიახი პოლიტიკით მტრად ეკიდება იმავე ინგლის საფრანგეთს, თუმც. ამით გერმანეთს არ მოუგია რუსის ხალხის გული სამე-

# დღეს.

**წერილები.**

მეთაური.—რუსეთის ბედი.
ა. ი.—სამართლიანობა და მთავრობა.
—პრესა.

——

ბაჭუა.—ქართული ეროვნული საბჭო.
ნ. ახვლედიანი.—ქიათ. მრეწ. მომავალი კრების საყურადღებოდ.

**ცნობები.**

ოსმალთა ცნობები ბაქოს აღების შესახებ ტყუილი გამოდგა. გენ. მაზნიაშვილმა ტუაპსეს იქით ბოლშევიკები დაამარცხა, წაართვა ორი ზარბაზანი, 30 ტყვიის მფრქვეველი, ჯავშნიანი მატარებელი და სხვა. ლეჩხუმში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. გამოცხადდა ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა.

---

გობროდ. სწორედ ამ აბნევ დაბნევის ბრალი იყო ერთის მხრით რუსეთის ასეთი საშინელი დამარცხება შიგნითაც და გარედაც.

აქედან გამომდინარეობს ის ჯიჯგნა რუსეთის მომაკვდავ სხეულისა, რომელსაც მას მთელ მსოფლიოზე უძლიერესი სახელმწიფონი უშვებიან.

პარადოქსად ნურავინ მიიჩნევს, თუ ამ ულამაზო და არაკეთილშობილ საქმეში, ინგლისსა და მის ორიენტაციის სახელმწიფოთ პირველი ადგილი უჭირავთ.

ინგლისმა ჩაითრია რუსეთი ამ საერთაშორისო კატასტროფიულ შეჯახებაში. ინგლისსავე არ უთამაშია უკანასკნელი როლი რუსეთის უბედურ რევოლუციის წარმოშობაში და მის სამწუხარო ნაყოფებში (კერენსკის დამკვრელი რაზმები და სხვა). იგივე ინგლისი უდგავს სულს ამ ჟამად ჩეხო-სლოვაკების მოძრაობას. მანვე გაასვრევია ხელები რუსის ესერებს მირბახისა და ლენ.რ. ეიჰჰორნის სისხლით და იგივე შლის დღეს არა მარტო რუსეთის თავისუფლებას, არამედ მის მოხაზულობასაც მსოფლიო რუკაზე. ნუ თუ გამოჩნდება ისეთი გულუბრყვილო და ბრიყვი ოპტიმისტი, რომელიც დაიჯერებს, რომ ინგლისს რუსეთის სახელმწიფოს აღდგენა ასულდგმულებდეს, ან რუსის ჯარის შექმნა, ან რუსეთის ფინანსიური მომაკვდავობის გაცოცხლება, ან იქ გამეფებულ სამოქალაქო ომის ჩაქრობა?

ეს ჩვენ არა გვჯერა და პირიქით იმაში ვართ დარწმუნებული, რომ კულტურულ ევროპას (გერმანეთსაც მათ შორის) იაპონიასთან და ამერიკასთან ერთად ევროპისა და აზიის კულტურულად დაახლოვების ხელის შემშლელ რუსეთის სრულიად წაშლა ამოძრავებთ.

ამიტომ ჩვენის ღრმა რწმენით ინგლის საფრანგეთისა და იაპონიის ჩეხო-სლოვაკებთან კავშირი უფრო სხვა სარჩულს, დიპლომატიურ - კომბინატორულ სარჩულს ატარებს, ვინემ სტრატეგიულსა და გერმანიასთან საბრძოლველ სარჩულს.

ვინ იტყვის იმას, რომ მოკავშირეთა ციმბირში შეჭრა და მათ მიერ ბრიყვ კერენსკის ლონდონში აკუნტრუშება არ იყოს უფრო საერთაშორისო ზავის მოახლოვების წინამორბედი, ისეთი ზავის, რომელსაც რუსეთის დაშლა არ მოსდევდეს შედეგად? ვაი თუ ამიტომ კადეტები მეტს პოლიტიკურს სიმწიფე - შორსმჭვრეტელობას იჩენენ იმით, რომ უკრაინის დაპმარებით გერმანეთს უახლოვდებიან, ვინემ კერენსკი და ტერეშჩენკო იმით, რომ ინგლისს ეფუსფუსებიან. კადეტებიცა და კერენსკის მომხრეებიც ყინულზე დასხდებიან და ინგლის-გერმანეთის მომავალი მეგობრული სითბო დაადნობს ამ დიდსა და სქელ ყინულს და ორთავე მიმდინარეობის სლავენოფილებს დამდნარ ყინულს თან გაატანებს.

ამიტომ შესაძლებელია, რომ ჩეხო-სლოვაკების ინგლისთან კავშირი უფრო უკანასკნელი საფეხურია რუსეთის დაშლისა, ვიდრე დასაწყისი ამ უბედურ სახელმწიფოს აღორძინებისა.

ასეთი პერსპექტივები და მათი ხორცის შესხმა ჩვენის აზრით უფრო საშიროა, ვინემ ის დაუსრულებელი ჯირითი, რომელსაც ორი უძლიერესი კულტურა, ინგლისისა და გერმანიისა, ეწევიან.

ამასთანავე კულტურულ ევროპას ერთი წუთითაც არ ავიწყდება ის ყვითელი საფრთხე, რომელიც ჩინეთსა და ინდოეთში იხახება. ამ რამოდენიმე ასეული მილიონიან ხალხების გაკულტურებას რუსეთი უშლიდა ხელს და ეს ხელის შემშლელი კედელი უნდა დანგრეულ იქნეს და გზა გაკაფდეს ევროპისა და აზიის შუა ხიდის გასაყვანად.

აი ის შესაძლებელი მოსაზრებანი, რომელნიც უნდა ამოძრავებდენ ევროპის მებრძოლ სახელმწიფოთ, როდესაც საერთაშორისო ზავის მოახლოვების წინ ისინი აყენებენ კაცობრიობას ფაქტების წინაშე.

და ფაქტი არის ის, რომ რუსეთი უკვე სხვადასხვა სახელმწიფოთა გავლენის სფეროში მოემწყვდა. შეიძლება ამ გავლენის სფეროებმა და ზონებმა ოკუპაციის სახეც მიიღონ.

---

## სამართლიანობა და მთავრობა.

### „პო ვოლნომუ ნაიმუ".

„პო ვოლნომუ ნაიმუ"—რუსული სიტყვებია და იტყვიან იმ მასწავლებლებზე, რომელიც დანიშნულია რომელიმე სასწავლებელში როგორც მასწავლებელი „დაქირავებული" და არა „დამტკიცებული".

დღეს რევოლუციის და განთავისუფლების დროს, რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ძნელი გასაგებია, მაგრამ მიუხედავად ამისა მშვენიერად ახასიათებენ ძველ რუსეთის ბარბაროსულ ლოგიკას, უსამართლობას და უსინდისობას:

ვინც გაათავებდა წინად რუსეთში უნივერსიტეტის რომელიმე სამასწავლებლო ფაკულტეტს, მას მთავრობა ნიშნავდა მასწავლებლად ჯერ როგორც „თავისუფლად დაქირავებულს", ე. ი. სახელმწიფო ჩინოვნიკურ უფლებას მოკლებულს. მოხელეს ღირსება და ხარისხები რომ მასწავლებელს მიეღო ძველი რუსეთის განათლების სამინისტროს განმარტებით საჭირო იყო არა მარტო დანიშვნა, არამედ დამტკიცება. მკითხველი მიხვდება თუ რისთვის იყო საჭირო ეს წმინდა რუსული ფორმალობა:

რუსეთს აინტერესებდა, რა თქმა უნდა, არა ნიჭი მასწავლებლის (ნიჭიერ მასწავლებელს რუსეთის მთავრობა ადგილს არ აძლევდა) არამედ სულ სხვა:

ლაქიობა, დაბეზღების და ღალატის მოხერხება. მასწავლებელი დანიშნული რომელიმე სასწავლებელში მით უფრო ჩქარა იქნებოდა „დამტკიცებული", რაც უფრო მეტ „სამსახურს" გაუწევდა იგი სასწავლებლის გამგეს ამხანაგების დაბეზღებით, ლაქიობით და მოწაფეებისადმი ჩინოვნიკურ ყოფაქცევით. ესე იგი მასწავლებელი უნდა ყოფილიყო იმავე დროს პოლიციელიც: ვინც ეგრე არ ასრულებდა თავის მოვალეობას, იგი დიდხანს არ იქნებოდა „დამტკიცებული" და ხშირად მასწავლებლობას თავს ანებებდა, რა თქმა უნდა არა თავის ნებით.

ეგრე იყო ძველ რუსეთში. რევოლუციამ შესცვალა რუსეთის პოლიტიკური წესწყობილება, მაგრამ რადგან რუსეთის რევოლუციას ჰქონდა აჯანყების ხასიათი პოლიტიკურ ფერიცვალობამ ვერ შექმნა ახალი, თავისუფლებას დამყარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. თუ დააკვირდებით, დარწმუნდებით, რომ მიუხედავათ ორ წლის რევოლუციის და მღელვარების, რუსეთი დღესაც წარმოადგენს მონარქიულ სახელმწიფოს და დიდხანს დარჩება კიდევ: ჩვენშიაც მოიპოვება არა ერთი მაგალითი რუსეთის მონარქიულ წესწყობის ნაშთების სიცოცხლის; ამბობენ რუსეთი დაინგრაო, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკურ კულტურულ დაწესებულებებში დღესაც მეფობს რუსეთის ბარბაროსობა და უსამართლობა: შებრძანდით რომელიმე მმართველ ანუ განმანათლებელ დაწესებულების კანცელარიაში, გადაფურცლეთ დაკვირვებით „უწყების" („ვედომოსტის") ფურცლები, შეადარეთ სხვადასხვა მოსამსახურეთა ჯამაგირების ჯამი ერთმანეთს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ადამიანის და ნიჭის დაჩაგვრა, უარჰყოფა, შრომის დაუფასებლობა დღესაც არსებობს.

სოციალისტების ენით რომ სთქვათ ექსპლოატაცია დღესაც წარმოებს. თუმცა ქარხნებში და ფერმებში ექსპლოატაცია მოისპო: თქვენ წაიკითხავთ დაწესებულებას „უწყებაში" რომ ერთი მასწავლებელი ღებულობს ნაკლებს და მეორე კი მეტს, თუმცა ორივე ასრულებენ ერთდაიგივე მოვალეობას და ორივეს ერთდროს აქვთ სამსახური დაწყებული. იკითხავთ: რისთვის?

— იმიტომ, რომ ერთს ჩინოვნიკობა მიღებული აქვს და შტატის მასწავლებელია. მეორე —არა; მეორე დაქირავებულია „თავისუფლად" ისე როგორც ქირაობენ ცხენს ანუ ხარს სამუშაოდ. ხშირად გამოდის, რომ „დაქირავებული" მასწავლებელი უფრო მომზადებულია და უკეთესად ასრულებს თავის მოვალეობას.

მაგრამ მაინც ნაკლებს სხვაზე ღებულობს. თქვენ იტყვით: შეიძლება არ არის დაწესებულებაში შტატის ადგილიო? სწორედ იმაზე მოგახსენებთ, როდესაც ადგილია შტატისა, მაგრამ მასწავლებელი რომელსაც ეკუთვნის ის ადგილი, შტატის გარეშე ითვლება.

რატომ?

ჰკითხეთ რუსეთს, ჰკითხეთ „რევოლუციონურ მთავრობას", ჰკითხეთ „განახლებულ სახელმწიფოს" კომისრებს და მინისტრებს. ამიერ-კავკასიის ხანმოკლე სეიმი თავისებური ილიუსტრაცია იყო რუსეთის „რევოლუციონურ შემოქმედების: სეიმმა, როგორც რუსეთის „რევოლუციონურმა მთავრობამ" დიდიხანი არარის მას შემდეგ, რაც გადასწყვიტა დროებით" ეხელმძღვანელა რუსეთის მონარქიულ სახელმწიფოს ძირითადი იურიდიულ პრინციპებით და ნორმებით; თუმცა სეიმის წირვა უკვე გამოვიდა მაგრამ ჩვენებური სოციალისტ-მინისტრები შეეცადენ სეიმის ანდერძის ასრულებას და დაადგენ „რევოლუციონურ შემოქმედების" გზას ძველი, მონარქიულ რუსეთის იურიდიულ ნორმებით შეიარაღებულნი.

ეს, რა თქმა უნდა სასაცილოა: ვინ არ იცის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ გამოადგება მონარქიულ სახელმწიფოს იურისპრუდენცია და კონსტიტუცია. ვინ არ იცის რა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ საფრანგეთსა და გერმანეთის შორის? თუმცა საფრანგეთი დემოკრატიულად მოწყობილი არ არის, მაგრამ ჩვენში ხომ უკიდურესად დემოკრატობენ და ეს უკიდურესი დემოკრატები იმავე დროს თავიანთი სახელმწიფოებრივი განკარგულებებში ხელმძღვანელობენ ძველი რუსეთის პრინციპებით და იურიდიულ მცნებებით: სამინისტრო ამტკიცებს მასწავლებელს თუ მას აქვს ცენზი რუსეთის სახელმწიფოში მიღებული.

მართალია ამას წინად გაზეთებში გვაუწყეს, რომ საზღვარ გარეთ მიღებული დიპლომიც სახელმწიფოებრივ უფლებიანი იქნებაო, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ და მხოლოდ გაზეთის ცნობაა და სხვა მნიშვნელობა მას არ აქვს.

არსებითად ჩვენ მომხრე ვართ, რომ სახელმწიფოში არსებობდეს სახელმწიფოებრივი წესი დაფასების—კლასიფიკაციის; საჭიროა რომ განათლების ცენზის აუცილებლობა იყოს მიღებული საზოგადოთ, საჭიროა მასთან რომ არამარტო დიპლომებით და ქაღალდებით ფასდებოდეს ადამიანი, არამედ ხმა ჰქონდეს საზოგადოების აზრს და პროფესიონალურ კავშირების [illegible].

რა თქმა უნდა [illegible] ხალხის შემოყვანა სასწავლებელში და მასწავლებლის წოდების და ხარისხის დარიგება ყოვლად შეუბრალებელია.

მაგრამ იმავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ განათლების, ნიჭის, ცოდნის და აზრის ცენზი მორალური იქნება იგი თუ სახელმწიფოებრივ ფორმალური, მოეთხოვება არა მარტო მასწავლებელს, არამედ სხვებსაც, ვისაც აბარია პასუხის საგები საქმე სახელმწიფოში.

საკვირველი მოვლენაა: სადმე პირველდაწყებითი სასწავლებელში მასწავლებლად რომ იყო საშუალო სასწავლებელი მაინც უნდა გაათავო იმ დროს, როდესაც მინისტრობას არავითარი ცენზი არ სჭირია ჩვენში

მეეზოვები და მეფურნეები ჩვენში მინისტრობას ელიან. იმ დროს როდესაც საოსტატო სემინარია გაუთავებია კაცს და პირველდაწყებით სასწავლებელში მასწავლებლობას ვერ ღირსებია. სოციალიზმი და სამართლიანობა თურმე ეს ყოფილა.

კაცობრიობას და საქართველოს სოციალისტები სულ სხვას პირდებოდენ.

ა. ი.

---

## პრესა

„ბორბას" მოყავს „მშაკის" აზრი ჩვენი ორიენტაციის შესახებ, რომელიც შემდეგს აღიარებს:

"ჩვენი მეზობლები—ქართველები უკვე დაკმაყოფილებულ პასუხს იძლევიან; გვიპასუხეს ურყევლათ, არა თუ სიტყვით, არამედ საქმით, რომ მოიწვიეს აქ გერმანული ძალები. არსებითად ჩვენ გერმანული ორიენტაციის საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა. ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში მანამ, სანამ მივმართავდით რუსეთს, ჩვენ მივმართეთ გერმანეთს, რომელმაც რუსეთზე მიგვითითა. საეჭვოა, რომ სომხებში მოიძებნებოდეს ისეთი ვინმე, რომელიც უარყოფდეს გერმანეთს.

რომელი ორიენტაციაც არ უნდა მივიღოთ ძირითადი პირობა უსათუოთ ამიერ კავკასიის გაერთიანებაა.

იქნება ის გაერთიანებული კანტონალურ ფედერატიულ ანდა კონფედერატიულ საფუძვლებზე, ეს შინაგანი ხასიათის საკითხია.

ამიერ-კავკასიის ეროვნებანი ისეთი ეკონომიური ინტერესებით არიან დაკავშირებულნი, რომ მათი გაყრა შეუძლებელია. მისი გაერთიანება აუცილებელია და იგი ადრე თუ მალე უნდა განხორციელდეს."

გამალიმებულ, მაგრამ იმავე დროს ჩამაფიქრებელ ოთურმის თამაში იციან ჩვენი მეზობლების ზოგიერთ მეთაურებმა.

განა დიდი ხანია მას შემდეგ რაც მათი თვალები სულ სხვა მხრისკენ იყო მიპყრობილი და გამუდმებით ჩაგვჩურჩულებდენ აი, აქ შემოვიდა ინგლისელები; აქ ესა და ეს ქალაქი აიღეს; მალე ამადა ამ ალაგს იქნებიანო?

დიახ, ქართველმა ერმა აშალა აფრა და თავის გემს შუა ევროპის ოკეანისკენ მიმართავს და თუ ბოლოს და ბოლოს ჩვენი მეზობლები ამ აზრს შეურიგდებიან, ჩვენც ამას სიამოვნებით აღვნიშნავთ. ხოლო რაც შეეხება ფედერაცია-კონფედერაციას, ჩვენა გვგონია რამ ქართველი ერი დღეს ქართულ სახელმწიფოს შექმნის, მისი ქართული სახის რაც შეიძლება რელიეფურათ გამოკვეთის პროცესშია: ზემოდასახელებული საკითხები მანამოიწელა და შორეულ მომავალს გადახედა და მათთან კიდევ დაბრუნება ამ პროცესს არც თუ ისე კარგ რამეს გაუმზადებდა.

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

დადასტურდეს მოკუჩავას მიერ უკრაინიდან ქართველების გადმოყვანის საქმეში გაწეული ხარჯი 9807 მან. 73 კაპ. რომელიც თანხაც მიეცეს მას 10 მილიონიანი ფონდიდან.

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ლიკვიდიცია მოხდეს თან დათანხმობით და სრულიად თანახმად საქართველოს რესპუბლიკის საერთო სალიკვიდაციო კანონის იმ განსხვავებით, რომ შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს მიეცეს სალიკვიდაციო თანხა ნაღდ ფულით.

---

შავი ზღვის ნაპირას დაკავებულ ტერიტორიის დროებით მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხების გასარკვევად შესდგეს უწყებათა შორისი თათბირი: შინაგან, იუსტიციისა, განათლებისა, მიწადმოქმედებისა და აფხაზეთის საქმეთა უწყებათაგან.

---

ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ ქვეშევრდომობის პირველი მუხლი განმარტებულ იქმნას იმ მხრივ რომ საქართველოს ქვეშევრდომათ ითვლება ყოველი მიწერილი საქართველოს რესპუბლიკის რომელსამე ადგილს და აქამდის ცნობილ წოდებას: თავად-აზნაურობისას, ვაჭრობისას, წვრილ მოქალაქეობისას, გლეხობისას.

## გენ. მაზნიაშვილის დეპეში.

სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეში მიიღო გენ. მაზნიაშვილისაგან: „მსურდა რა დამესწრო მტრის თავდასხმისთვის ბელორეჩინსკის სადგურთან თავმოყრილი სთვის ჩემმა რწმუნებულმა ჯარით 4 აგვისტოს 13 საათზე გადავიდა თავდასხმაზე და გაფანტა მოწინავე რაზმები მტრისა, რომელიც გამაგრდა თუაფსედან 6 ვერსის მანძილზე. განაგრძო რა ჩვენმა ჯარმა შეტევა იგი შეხვდა მტრის მთავარ ძალებს მიხეილისა და მაიკოპის პოლკებს, რიცხვით დაახლოვებით 4 ათას კაცს, რომელსაც უფროსობდა ანტონოვი, ამ ლაშქარს 3 ზარბაზანი, ჯავშნიანი მატარებელი „მებრძოლი თავისუფლებისათვის № 2“ სახელით და აუარებელი რიცხვი ტყვიის მფრქვეველებისა ჰქონდა თან. ბრძოლა დაიწყო სოფ. გრეშესკოს 4 ვერსის მახლობლად; 6 საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ ანტონოვის ლაშქარი დამარცხდა და გაფანტულ იქმნა. დაჭრილ და დახოცილ ბოლშევიკთა რიცხვი ასობით დაითვლება. ჯავშნიანი მატარებელი დამსხვრეულ იქმნა, ორთქლმავალი დაიწვა და მატარებლის მთელი შემადგენლობა შეპყრობილ იქმნა, ხელთ ვიგდეთ ორი ზარბაზანი და 30 ტყვიის მფრქვეველი. აუარებელი ტყვია ტყვიის მფრქვეველებისა, სასროლი ყუმბარები და ვინტოვკები. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე გამართული საველე სამზარეულო, მთელი მატარებელი თხრილების საკეთებელ მანქანებით, ფქვილი, კონსერვები ყუთებით, ტელეფონის მთელი ქონება, ცხვრის ფარა და 4 წყება მატარებელთა. საბოლოოდ დამარცხებულ მტრის კვალ და კვალ დევნის შემდეგ ჩვენ, 4 აგვისტოს მეორე საათზე, ავიღეთ სადგური კრივენკოვსკაია და 5 ვერსით წინ წავიწიეთ და ვართ ამ ჟამად გამაგრებული. დამარცხებულ მტერს თავი აღარა აქვს თავდაცვისა ვიდრე არმავირამდე. ჩვენ მოგვიკლეს 7 კაცი, დ გვიჭრეს 15.

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

შაბათს, აგვისტოს 10, საღამოს სრულ 7 საათზე, წმიდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია პარტიის წევრთა

# საერთო კრებული

მოხსენებას წაიკითხავენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი ვასილ წერეთელი და ალექსანდრე თორაძე.

ყველა წევრის დასწრება აუცილებელი და სავალდებულოა.

**საგუბერნიო კომიტეტი.**

---

# უცხოეთი.

## ბაქო არ აუღიათ.

თბილისის რადიოსადგური იუწყება, რომ სხვადასხვა დროს ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები ბაქოს აღების შესახებ — ტყუილი გამოდგა. პირველ აგვისტოს ბაქოს მდგომარეობა მართლაც კრიტიკული იყო, მაგრამ აქამდე არც ერთს ოსმალოს ჯარის-კაცს ფეხი არ შეუდგამს ბაქოში. ეხლა ბაქოს მდგომარეობა მტკიცედ ითვლება. ბაქოს აღების ცნობები თათრებმა მოგვაწოდეს.

---

ქიურდამირიდან მიღებულ ცნობებით შაუმიანს მოუხერხებია გაქცევა ბაქოდან დერბენტში მიმავალ „შლიუპკა“ზე. დერბენტი ბოლშევიკების ხელშია.

## ჩრდილოეთ კავკასიაში.

**ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკა.**

ჩრდილოეთ კავკასიიდან ბერლინს და მოსკოვს ასეთი ცნობა გაუგზავნა:

ვიტყობინებით ყველას საყურადღებოთ რომ ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოთა ყრილობამ, რომელიც მოხდა 7 ივლისს ქალაქ ეკატერინოდარში მოაწყო ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც აერთებს სტავროპოლისა და შავი ზღვის გუბერნიებს, ყუბანისა და თერგის ოლქებს. ეს რესპუბლიკა ფედერატიულად შედის რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის უმაღლესი მთავრობა, და ამავე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იმყოფება ქალ. ეკატერინოდარში.

ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **რუბინი.**

## განჯაში.

განჯაში მილიცია პოლიციად შეცვალეს. დაარსდა ოსმალთა ჟანდარმების ინსტიტუტი.

პოლიციაში ღებულობენ განსაკუთრებით მათ, ვინც ძველი რეჟიმის დროს მსახურებდა. პოლიცმეისტრის თანამდებობა ოსმალებმა მისცეს რუსეთის ბატონობის დროს განჯის პოლიცმეისტერს. სურსათის ფასებმა ძალზე დაიკლო. ბაქოს აღების შესახებ გავრცელებული ხმების გამო განჯაში მოეწყო მანიფესტაციები. მაგრამ განჯაში მანიფესტაციების დროს ბაქოდან მოვიდა მატარებელი და მგზავრებმა განაცხადეს, რომ დღესასწაული ნაადრევიაო.

## უკრაინა.

პეტროგრადში მიღებული ცნობების თანახმად უკრაინის მინისტრთა საბჭოში სკოროპადსკიმ განაცხადა რომ უკრაინაში გლეხობის ამბოხება გამოწვეულია მემარცხენე სოციალისტთა შეთხზვითო. სკოროპადსკის სიტყვით უმანსკის მაზრაში არსებობს რევოლუციონური „დრუჟინები“, რომელთა მიზანია დახოცონ მთავრობის აგენტები. სკოროპადსკის აზრით უნდა დაიხუროს მუშათა კოოპერატივები და კავშირები. ეიხგორნმა ამავე საბჭოში განაცხადა რომ მას ბრძანება გაუცია რათა კიევში მყოფი გერმანელი ჯარი საომრად მოამზადონ.

დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული რომ მთავრობის მოწინააღმდეგეთა საწინააღმდეგოდ ენერგიული ზომები იქნეს მიღებული.

## უკანასკნელი ცნობები

**ვოლოგოდის რესპუბლიკა.**

ბერლინიდან იტყობინებიან: შეთანხმების სახელმწიფოთა მხედრობამ გენერალ გურკოს მეთაურობით აიღო კონდლაკშის და კემის გზა. აზრად აქვთ, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა პროტექტორატის ქვეშ შესდგეს ვოლოგოდის რესპუბლიკა, რომელშიდაც შევა მურმანის ოლქი და ჩრდილოეთ კონტინენტის ნაწილი ურალამდის.

**იაპონელთა რაზმი ჩიტაში.**

კიევში მიღებული ცნობების თანახმად ხარბინიდან გასული იაპონელთა ჯარი ჩიტაში იმყოფება. ჯარის რაოდენობა გამოურკვეველია. ამის გამო მოსკოვში სახალხო კომისართა საბჭოს სასწრაფო კრებები მოხდა, სადაც იმსჯელეს ციმბირის დაცვის შესახებ. გამოითქვა აზრი რომ საბჭოთა მთავრობა არ ეყრდნობა გერმანეთის ორიენტაციას, მაგრამ ეს შესაძლებელი გახდება, მის შემდეგ როცა იაპონია და ინგლისი რუსეთის ოკუპაციას გამოაცხადებენ.

# რუსეთი.

— ლენინმა მოსკოვიდან ორჯერ დააპირა გაქცევა. როდესაც ლატიშებმა შეიტყვეს რომ ლენინი სადგურისკენ გაეშურა, მივიდნენ და ამ სიტყვებით უკან დააბრუნეს: „ერთად განვაგებდით, პასუხიც ერთად უნდა ვაგოთო.“ ამის შემდეგ გაძლიერებული რაზმი „იცავდა ლენინს“ და ამიტომ მეორეთ ვერ მოახერხა გაპარვა ეხლა სად იმყოფება არ იციან.

— ციურიხიდან იტყობინებიან, რომ ინგლისისა და რუსეთის საკითხი მეტად გამწვავებულია. გაზეთი „პრავდა“ თავის მეთაურში აცხადებს, რომ რუსეთის რესპუბლიკა ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება შეუკავშირდეს გერმანეთს და თვის ძველ მოკავშირეებს ომი გამოუცხადოს.

— რუსეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი ტროცკი თავის უკანასკნელ ბრძანებაში ამბობს, რომ ფრანგები და ინგლისელები, ჩეხო-სლოვაკელებთან ერთად რუსეთის მტრები არიანო.

— ვეგლუჯის მაზრაში (კოსტრომის გუბერნია) გლეხობა შეუდგა ვეტმან სკოროპადსკის სათიბის განაწილებას. ეს მამული უდრის 60,000 დესეტინას, რომელიც მან ცოლის მზითევში მიიღო.

## სამგლოვიარო დეპეში.

ჩვენმა რედაქციამ ფრონტიდან შემდეგი სამგლოვიარო დეპეში მიიღო:—

საჩხერის „ანარქიულ ფრონტზე“ გავიგეთ ძვირფასი ახალგაზრდის, ნიჭიერ საზოგადო მოღვაწის და ჩვენი ერისათვის ბევრი რამის დამპირებელის **ნიკო ჯორჯიკიას** უდროოდ დაკარგვა. დავსტირით მას. მისი სახელი ქართველ ინტელიგენციისთვის წარუშლელი დარჩება.

**ჯ. კაც. ირაკლი დიდიძე, გრიშა მეგრელიშვილი და მიშა ლოლობერიძე.**

# ახალი ამბავი

**ქუთაისი.**

◆ **საზოგადოების საყურადღებოდ.** ქუთაისის ქალაქის კომენდანტის ადიუტანტი პოდპორუჩიკი ლ. ახვლედიანი საზოგადოების საყურადღებოდ შემდეგს აცხადებს: კვირას 4 აგვისტოს ჩამოსულ გერმანელ ჯარის კაცთა უსაქციელობის გამო ორშაბათ დილას მივედი გერმანელთა შტაბში და განვაცხადე ის არა სასიამოვნო მოვლენა, რომელიც გერმანელ ჯარისკაცებმა ჩაიდინეს. სასწრაფოთ მოიწვიეს გერმანული როტების უფროსები რომ დამნაშავენი მოენახათ. გერმანელი ჯარის კაცები რომელნიც კვირას მთვრალები იყვნენ და უსაქციელობას ჩადიოდენ, დასაჯეს თოფქვეშ დადგომით. სამშაბათს გარნიზონის უფროსის სამართველოში გამოცხადდენ გერმანელი შტაბის ადიუტანტი, ოფიცერი და ერთი ჯარის კაცი და მათი ჯარისკაცების უსაქციელობის გამო ბოდიში მოიხადეს დაგვარწმუნეს აგრეთვე რომ დღეიდან არავითარ უსაქციელობას ადგილი აღარ ექნება. ამის და მიხედვით ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოთ, თუ დღეიდან ვინმეს რამე დაუშავონ, ან ცუდი რამე ჩაიდინონ გერმანელების ჯარის კაცებმა შემატყობინოთ მე, რომელსაც დამავალეს და მანდატიც ჩამაბარეს გერმანელებმა შტაბიდან ამის შესახებ, როგორც ქალაქის კომენდანტის ადიუტანტს რათა შენიშვნა მივცე მათ ჯარის კაცების

◆ **ერობის გარშემო** ერობის საარჩევნო სამაზრო კომისია დაბეჯითებით სთხოვს ყველა პარტიებს, რომ ისინი აუცილებლათ 18 აგვისტოსათვის ყოველმხრივ იყვნენ მზათ. არჩევნები სხვა დღისთვის არ გადაიდება.

◆ **სავალდებულო დადგენილება.** გუბერნიის კომისარმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ქალ. ქუთაისის, ფოთის, სოხუმის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, სამტრედიის, სენაკის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ხონის და ჭიათურის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ამ ქალაქებში დაცული იქმნეს სისუფთავე, რათა ეპიდემია თავიდან იქნეს აცილებული.

◆ **ხორბლეულობის შეძენა.** სასურსათო სამინისტროს რწმუნებულმა გრიგოლიამ მიმართა ქალაქის გამგეობას, კოოპერატივთა კავშირს, ვაჭართა ბიუროს, მომხმარებელ საზოგადოებას, კოოპერაციის გამგეობას, რომ მათ თავის მხრით მიიღონ ზომები ხორბლეულობის შეძენაში. პურის შეძენა შეიძლება გორის მაზრაში და კახეთში.

◆ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** რომელიც ხუთშაბათისთვის იყო დანიშნული წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

◆ **ბრძოლა ეპიდემიასთან.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მოწვეულ იქმნეს ერთი დეზინფექტორი, ერთი მუშა და ერთიც მეეტლე.

◆ **კრება.** დღეს 9 აგვისტოს საგუბერნიო სამმართველოს ბინაზე დანიშნულია ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის კრება, სხვადასხვა საკითხების გასარჩევათ.

◆ **სისხლის სამართლის მილიციის უფროსი.** ა. ჯინჭარაძე და გამომძიებელი იუსტინოვი რომელნიც წასული იყვენ ოზურგეთში ფულის გატაცების საქმის გამოსაძიებლათ უკანვე დაბრუნდენ.

◆ **დაპატიმრება** გუშინ დააპატიმრეს 1 ცხენოსანი პოლკის გუსარები ილია ზაქარიაძე და დოდიშვილი, რომელთაც ბრალდებათ პოლკის ცეიხ-ჰაუზიდან შაქრის და სხვა სახელმწიფო ნივთების გატაცება. ისინი საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. ამავე დღეს დააკავეს 1-ლ ქართულ ბრიგადის ჯარის კაცი შალვა იაშვილი, რომელსაც ქურდობა ბრალდება

◆ **ბოროტ მოქმედებანი** 1 1-7 აგვისტომდის ქუთაისის რაიონებში მოხდა მკვლელობა 4 დაჭრა 3 და ცარცვა 4.

✦ **ტუსაღები** ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ამ ჟამათ მოთავსებულია 400 ტუსაღი.

✦ ალღუმი. კვირას 11 აგვისტოს დილის 10 ნახევარ საათზე ქალაქის ბაღში გერმანელთა შტაბი მართავს ალღუმს (პარადს) სადაც მიწვეული იქნება ქუთაისის გარნიზონის უფროსი, დივიზიის უფროსი გუბერნიის კომისარი, ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ქართველი ოფიცრობა, ქალაქის მოურავი და დაწესებულებათა უფროსები.

✦ **სადამოების გადასახადები.** გუბერნიის კომისარმა, თანახმად მთავრობის დადგენილებისა შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა მაზრის კომისარებს: დაევალოს ყველა დაწესებულებებს გადაახდევინონ გამართულ სადამოების გადასახადები თანახმად არსებული კანონისა და შედეგი ეცნობოს ყველა სამინისტროს.

✦ **სავალდებულო დადგენილება.** ქალაქის საბჭოს დადგენილებით არსებული ყველა კლუბები, გასართობები, რესტორანები, ყავახანები და ყველა საკონდიტროები უნდა იკეტებოდეს სადამოს 11 საათზე ეს დადგენილება ეცნობა მილიციის უფროს სულაქველიძეს სისრულეში მოსაყვანად.

**შეცდომების გასწორება.**

გუშინდელ ჩვენს გაზეთში ბ. კ. კაზანეღის წერილში: რუსთველი და დანტე. შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა:

სათაურში სწერია: კ. კაზანე. უნდა იყოს კ. კაზანელი. ფელეტონის 1 სვეტში ზევიდან მეოთხე სტრიქონში სწერია ამ სიტყვამ უნდა იყოს ამ საუკუნემ.

მეორე სვეტში ზევიდან მეცხრე სტრიქონში სწერია მეტაფორი უნდა იყოს მეტეორი.

ამავე სვეტში ქვევიდან მეოთხე სტრიქონში სწერია ფიქრებით უნდა იყოს ფიბრებით. მეხუთე სვეტში: ქვევიდან მეშვიდე სტრიქონში სწერია: ერთი ეუფლება გმირის მთელს არსებას უნდა იყოს ერთსი ეუფლება...

მეშვიდე სვეტში: სადაც სწერია აცნობს მკვდრის... გამოტოვებულია სიტყვები სახელებს და მიჰყავს. ამავე სვეტში ქვევიდან მეჩვიდმეტე სტრიქონში გამოტოვებულია სიტყვები: უმეზღეა არის. მერვე სვეტში: მეჩვიდმეტე სტრიქონში სწერია ცოური უნდა იყოს ცრუ.

# ქართული ეროვნული საბჭო.

რევოლუციამ მისცა ერებს საბჭოები.

ჩვენც მოგვცა რევოლუციამ ეროვნული საბჭო.

დიდხანს ჩვენი ეროვნ. საბჭო ჰაერში გამოკიდებული დაწესებულება იყო.

დასელები და ესერები იძულებით იღებდენ შიგ მონაწილეობას, და ამიტომ დადგენილებანი მარტო ქაღალდზე რჩებოდენ.

დრო გამოიცვალა.

ქართველ ესდეკებს პროლეტარები ცივ რუსეთში დარჩათ.

რევოლუციონერების ეშელონები ჩქარი მატარებლით წავიდენ, და ეს უკანასკნელები თავის ამარა დარჩენ.

ეროვნებათა კონსოლიდაციამ მუსულმანობა ოსმალეთისკენ გადახარა.

სომხობამ ინგლისისკენ დაიწყო ცქერა.

ეს გზები ქართველებს არც ერთი არ გამოადგებოდა, მან საკუთარი ორიენტაციის ძებნა დაიწყო.

ამ ტრაგედიაში დაიმსხვა ამიერ-კავკასიის სეიმი.

ამიერ-კავკასიის სეიმის ნანგრევებზე გაძლიერდა ქართული ეროვნული საბჭო. მან ქართველების სვებედი ხელთ-იგდო.

დღეს ეს ეროვნული საბჭო სახელმწიფოებრივი პარლამენტია. ის წმიდათა წმიდა არის ქართველი ერისთვის.

ამიტომაც მოწიწებით უნდა ეპყრობოდეს მას ყოველი შეგნებული ქართველი.

დღემდე ეროვნ. საბჭოში პარტიათა შეხლა-შემოხლა იყო, საკითხი მწვავე კამათში ირკვევოდა.

ებრძოდენ ესდეკები—ესფერებს—ესერებს და ნაციონალ-დემოკრატებს.

ესფერები ესდეკებს და ეროვნულ-დემოკრატებს.

ესერები—ეროვნულ-დემოკრატებს და ხან ესფერებსაც.

ამ ხანაში საზოგადოებისთვის, რომლებიც თვალყურს ადევნებდენ საბჭოს ანგარიშებს, საკითხი უფრო ნათლად ირკვევოდა.

სულ სხვა სურათია დღეს.

სოციალისტები შეერთებულან. მათი გულისთქმის გამომხატველი სოციალ-დემოკრატების ფრაქცია არის. სოციალისტ ფედერალისტები და სოციალისტ რევოლუციონერები მონებათ გაუხდიათ სოციალ დემოკრატებს, და შეერთებული ძალით ებრძვიან ეროვნულ-დემოკრატებს.

ესფერებს და ესერებს ფიცი მიუციათ სოციალ-დემოკრატებისთვის „არ გიღალატებთო“.

დადუმებულა ალ. წერეთლის და გობეჩიას მკაცრი ოპოზიცია სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგოთ. მათ და მათ ფრაქციას ხელები აქვთ აპყრობილი და ლოცვა კურთხევით იხსენიებენ სოციალ დემოკრატების რეზოლუციებს.

ან და მორცხვათ აქვს თავი ჩაქინდრული, ვერ ღალატობენ ფიცს და გარეგანი სიწითლით აძლევენ ხმას სოც. დემოკრატების რეზოლუციებს.

თანხმობა, პარტიათა შეთანხმება კარგია როცა ისინი სწორ გზას ადგიან.

მაგრამ...

სოციალისტურ პარტიებს—როცა ისინი რეალურ პოლიტიკას სცდებიან-წინ უდგიათ უაღრესად სახელმწიფოებრივი და რეალურ პოლიტიკის მწარმოებელი პარტია

— პარტია ეროვნულ დემოკრატებისა.

ქართული ეროვნული საბჭო ჯერ ვერ დგას თავის სპეტაკ წერტილზე. ის მეტ გონიერებას, მეტ აქტიობას მოითხოვს წევრებიდან.

სოციალ დემოკრატებისათვის ეროვნულ საბჭოს დარბაზი საალღუმო დარბაზია, საიდანაც ქართველ ერს თავიანთ გადაწყვეტილებას ამცნობენ.

სოციალისტ ფედერალისტებისთვის და სოც. რევოლუციონერებისთვის სამკითხველოა—სადაც ისინი უმეტესად ჟურნალ გაზეთების კითხვაში ატარებენ დროს.

ეროვნ. დემოკრატებისთვის ის წმიდათა წმიდა არის—სადაც მათ სურთ ქართველი ერის ტკივილები შეამსუბუქონ—ჭრილობას მალამო მოუცხონ—მტერს მტრულად დაუხვდენ—მოყვარეს პურმარილით შეხვდენ.

მაგრამ... სოციალ დემოკრატები ხრონიკიერთა კაბინეტათ აქცევენ სადაც ეროვნულ დემოკრატებს თავიანთ წინასწარ გადაწყვეტილებას ახალ ახალ ამბათ ამცნობენ.

აქ მარცხდებიან (სიმცირის გამო) ეროვ. დემოკრატები.

საბჭოში დამარცხებას გარეთ გამარჯვება მოსდევს.

დემაგოგიით გამარჯვებას ჯიუტობით საქმის გატანას, კეთილშობილურად დამარცხება სჯობია.

ბელგეთი კეთილშობილურად დაეცა, მაგრამ ისტორია უამრავი ქებით მოიხსენიებს მას, რადგან ის დამნაშავე არაფერში არ იყო.

**ბაჭუა.**

# ჭიათურის მრეწველთა მომავალ კრების საყურადღებოდ.

თუ მართლა გერმანელებმა ფუთ მარგანეცში შემოგვაძლიეს 3 მან. და 50 კაპიკი, მაშინ ასეთი დიდი ფასი ძნელ ტვირთად დააწვება ახლად გათავისუფლებულ საქართველოს. ჩვენი საგარეო ვაჭრობა მეტად შეზღუდული და შევიწროვებული იქნება როგორც გერმანეთის ისე სხვა სახელმწიფოებისაგან. აი რისთვის გვაძლევს ფუთ მარგანეცზე 3 მან და 50 კაპ. წარმოვიდგინოთ რა დაუჯდება ფუთი მარგანეცი ექსპორტიორს, რომ მიიტანოს ქარხანაში—გერმანიაში. ამ ზემოხსენებულ ფასს 3 მან. 50 კაპ. მიუმატოთ ფუთზე ფოთის იქით ფრახტი 20 კაპიკი, მუშის ქირა რომელიც იქნება მარგანეცის მიმღები პირველ პორტში, საზღვარ გარედ ე. ი. ადესაში ფუთზე—კიდევ 20 კაპიკი. ვინაიდგან გეოგრაფიული პირობები ხელს არ უწყობს გერმანიას პირდაპირ, თავის ქვეყანაში შეიტანოს მარგანეცი, მეორეჯერ და მესამეჯერ გადატვირთვა უხდება და ამიტომ მუშას ქირას და მის დაცლას უნდა მიჰყოს ხელი, ესეც 20 კაპიკი, ეხლა თვით შეტანა „ფაბრიკა“ ქარხნებში იქაც მეორე ფრახტი—ერთი მანეთი. სულ ფუთი მარგანეცი გერმანიას დაუჯდება ჭიათურიდან რომ გაიტანოს 5 მანეთი და 10 კაპიკი. აი, უკანასკნელი ფასი ნედლი მასალისა, რომელიც დაუჯდება გერმანიის ექსპორტიორებს ჭიათურიდან.

როგორც მკითხველს მოეხსენება ყოველი ნედლი მასალა თხოულობს დამუშავებას. ვსთქვათ რომ მუშა ხელი გერმანიაში გაძვირებულია და ფუთი მარგანეცის დამუშავება ჯდება ერთი მანეთი. ცხადზე უცხადესია, რომ ფუთ მარგანეცში არასოდეს ფუთი დამუშავებული საქონელი არ გამოვა; არამედ დაახლოებით 10-15 გირვანქა. ამ უკანასკნელ წონას თუ მივაქცევთ ყურადღებას და ანგარიშს გაუწევთ იმ ძნელ პირობებს, რომელშიაც დღეს მუშას უხდება თავის მოვალეობას შესრულება, ფუთი დამუშავებული მარგანეცი გამზადებული საქონლის სახით დაჯდება 6 მანეთი და 10 კაპიკი. ეს არის 10-15 გირ. დამზადებული მასალის ფასი.

დამზადებული ერთი ფუთი რკინა, ოთხჯერ მეტი დაჯდება ე. ი. 24 მანეთი და 60 კაპიკი, ქარხნიდან რომ დამზადებული მასალა გამოვა ეღირება 24 მანეთი და 60 კაპიკი, ამ ღირებულებას უნდა მიუმატოთ ფუთ დამუშავებულ მასალაზე მექარხნის სასარგებლოთ **ორი მანეთი** ე. ი. სულ ჯდება ფუთი დამუშავებელი მასალა 26 მანეთი და 60 კაპიკი.

აი ის აუტანელი ტვირთი რომელიც მძიმედ დააწვება საქართველოს მომავალში, თუ ჩვენმა მრეწველებმა და მთავრობამ სხვა ეროვნების ექსპორტიორებს არ მისცა ნება მარგანეცის დამუშავების და გატანისა, მაშინ შეჯიბრება (კონკურენცია) არსაიდან იქნება და გერმანია რა ფასებსაც დააწესებს იმ ფასებს უნდა დავემორჩილოთ; თუ გვინდა შევიძინოთ ტეხნიკური მანქანები ჩვენი საკუთარი ეროვნული კაპიტალის გასაძლიერებლად. თუ სხვა სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით ინგლისმა ტეხნიკური მანქანები არ მოგვაწოდა, მაშინ გერმანია თვითნებობას დაიწყებს და ფუთ დამუშავებულ საქონელზე გადაგვახდევინებს არა 26 მანეთს და 60 კაპიკს, არამედ 30 მანეთს. რომ მისი საერთაშორისო სავაჭრო ჯამი (ბალანსი) იქნეს მომგებიანი.

თუ საქართველოს ფუთ რკინეულობაზე 30 მანეთს და მეტის გადახდა მოუხდა, გამოვა რომ ჩვენი ფული პირველ 10 წლის განმავლობაში გავა 1,200,000,000 მანეთი

თუ წელიწადში დაგვჭირდა არა ნაკლები 4 მილიონი ფუთი რკინისა, მაშინ ათ წელიწადში დაგვჭირდება 40 მილიონი ფუთი. ღირებულება მათი გამოიხატება 1,200,000,000 მან. შემდეგ ათი წლისა, თვით ეროვნული ტეხნიკა დაამუშავებს ნედლ მასალას და საზღვარ გარეთიდან არ დაგვჭირდება ზემოხსენებული მასალის შემოტანა.

ზემოხსენებული კომერციული მიზნები ქონდა უთუოდ ჩვენს მრეწველებს სახეში, როდესაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ექსპორტიორებათ გარდა გერმანელების ყოფილიყო სხვა სახელმწიფოს მრეწველებიც.

პირადათ მომხრე ვარ იმისა, რომ ექსპლოატატორებათ და ექსპორტიორებათ იქნეს არა მარტო გერმანელები, არამედ სხვა ეროვნების მრეწველებიც; ასეთი შეთანხმებული მუშაობა წინ წაწევს ახლად გათავისუფლებულ საქართველოს და ჩააყენებს იმ ძლიერ სახელმწიფოებრივ-ეკონომიურ პირობებში, როგორშიც არის ეხლა გერმანია და ინგლისი.

ხაზგასმით ვიმეორებ, რომ ნაციონალიზაციის საკითხი ფრთხილად უნდა გადიჭრას. ჩვენმა მრეწველებმა მომავალი კრებისათვის უნდა მოამზადონ მოხსენებანი, სადაც გარკვევით გააშუქებენ და კრიტიკაში გაატარებენ.

უმჯობესი იქნებოდა, რომ მაღნები გამოვიყიდოთ და შემდეგ კონცესიის წესით გავსცეთ, მხოლოდ ათი წლის ვადით.

მაშ მრეწველებო, იმოქმედეთ ისე, როგორც მას გიკარნახებს კომერციული კანონები და საერთაშორისო ეკონომიური ბაზარი.

**ნიკოლოზ ახვლედიანი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1 ივანობისთვიდან 1918 წ.

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

პირდაპირი № 10 სადამოს 9 საათ. 02 წ.
სამგზავრო — 24 სადამოს 9 — 42 —
საფოსტო — 4 დღის 11 — 02 —

**ფოთისკენ.**

სამგზავრო № 23 სადამოს 9 საათ. 2 წ.
საფოსტო — 3 ღამის 1 — 2 —

**ტყიბულისკენ.**

საფოსტო № 4 დილის 5 საათ. და 52 წ.

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

პირდაპირი № 9 დილის 9 საათ. 17 წ.
სამგზავრო — 23 ღამის 11 — 22 —
საფოსტო — 3 ღამის 3 — 52 —

**ფოთიდან.**

სამგზავრო № 24 ღამის 3 საათ. 52 წ.
ფოსტო — 4 დღის 12 — 52 —

**ტყიბულიდან.**

საფოსტო № 3 სადამოს 6 საათ. 52 წ.

ექიმ **ივ. ბოკერიას** ხირურგიული და გინეკოლოგიური საავათმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავათმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

კბილის ექიმები
**მ. ი. ახვლედიანი** და
**ო. დ. პროშლიაკოვა**
ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და სადამოს 5 ს.—7 ..
მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი
**ზ. ა. ეზიკაშვილი**
მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და სადამოს 6-დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

საჭიროა „ნატურშჩიცა“
მოდელისთვის. პირობები და სურათი გაგზავნილ უნდა იქნეს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მხატვარ სანელისთვის. 5—3

განცხადება.
ვეძებ კარგ ოჯახში ადგილს ეკონომკის ან მსახურის, რომელიც კეთილ-სინდისიერათ იქნება შესრულებული. აგრეთვე შემიძლია ყოველგვარი საქმის შესრულება ოჯახში. მისამართი დატოვეთ გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. 1—1

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.